



მწყამსი

ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ყ ო ზ ი ლ ე ბ ა


უგალღასი განიფასსი.

(გაკრძელება*)

XI. სხვა-და-სხვა პირთ, საზოგადოებათ და წოდებათ მიენიჭოსთ შემდეგი შეღავათი ხაზინისაგან სესხად აღებულ ფულის გადახდაში: 1. სრულიად ევატიოსთ ვალი სტენზოის, ირკუტსკის და ამურის საგენერალ-გუბერნატოროების და ტიბოლსკისა და ტომსკის გუბერნიების სოფლის საზოგადოებათ; ეს სესხი საზოგადოებათ მიეცა გამოსაკვებათ და აგრეთვე ყანების დასათესავად. ამასთანავე ფინანსთა მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, დაევალა, გამოიკვიროს, რა და რა შეღავათი მიენიჭოს იმპერიის სხვა ადგილების გლეხობას ამგვარისავე ვალის გადახდის საქმეში. 2. შიდა რუსეთიდან ყოველ გადასახლებულ ოჯახს ევატიოს 50 მანეთამდე იმ სესხისა, რომელიც მიეცათ გზის ხარჯად და ახალ ადგილზე დასახლებულად. 3. ევტოსი და ანგარიშებიდან გამოირიცხოს მემკვიდრის დაბადების დღემდე ნაანგარიშევი: ა) სესხი, ხაზინიდან გაცემული დამშუფლებზე 1891 და 1892 წლებში მოუსავლობის დროს ცხენების საყიდლად. ბ) ამგვარივე სესხი, გაცემული 1898 წლის მოუსავლობის დროს ზოგიერთ გუბერნიის დამშუფლებზე და აგრეთვე სესხი, რომელიც მიეცა ბესარაბიის გუბერნიის გლეხთ საქონლის საყიდლად, თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, 16 მარტს, 1900 წელს. 4. ევატიოს და ანგარიშებიდან გამოირიცხოს მემკვიდრის დაბადების დღემდე ნაანგარიშევი ფული იმ სესხისა,

რომელიც საუფლისწულო უწყებამ მისცა საუფლისწულო მამულების მოიჯარადრეგებ 1891 და 1892 წლებში მოუსავლობის დროს. 5. სრულიად ევატიოს მემკვიდრის დაბადების დღემდე ნაანგარიშევი ფული, რომელიც მიეცა სესხად საუფლისწულო მამულების უწყების თანხიდან საუფლისწულო მამულში გადასახლებულ და ამჟამად იქ მოიჯარადრეგებად მცხოვრებ პირთ, ანხანაგობათა და საზოგადოებათ, გზის ხარჯად და საკვებად. 6. ევატიოს სესხად გაცემული ფული ალტაის ოლქის მცხოვრებლებზე 1900—1901 წლების მოუსავლობის დროს. 7. არ გადახდეს დარჩენილი ღ დაუბრუნებელი მემკვიდრის დაბადების დღემდე ბეთ გაცემული ფული და სურსათი, რომელიც წინ-დაწინ მიეცა სახანინო, სამთამადნო ქარხნების მუშებსა და ოსტატებს და აგრეთვე ჩვენის კაბინეტის უწყების ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების ქარხნების მუშებს; აგრეთვე ევატიოს ვალი მემკვიდრის დაბადებამდე დარჩენილი სახანინო სამთამადნო ქარხნების მუშებზე, მოიჯარადრეგებზე, არა უმეტეს 150 მანეთისა თვითეულს; თუ ვალი ამჯამს აღემატება, თვითეულ მოვლეს 150 მანეთი გამოეკლოს. 8. ევატიოს ჩვენის კაბინეტის უწყების, ალტაისა და ნერჩინსკის ოლქებში მოიჯარადრეგების ვალი, რომელიც დაელოთ მემკვიდრის დაბადების დღემდე სხვა-და-სხვა საჯარო საქმეების დროზე შეუსრულებლობის გამო; ევატიოს არა უმეტეს 50 მანეთის თვითეულ მოიჯარადრეს. 9. ევატიოს სრულიად სარგებელი ჩვენის კაბინეტის უწყებიდან სესხად გაცემულ ნეტყისა. 10. ევატიოს დროზე შეუტანლობის გამო შეგროვილი სარგებელი იმ სესხისა, რომელიც ხაზინიდან მიეცა ქალიქებს და

*) იხ. „მწყამსა“ № 16, 1904 წ.



ერობას, თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, ან 1899 წლის 8 თებერვლის კანონის ძალით. ეს სესხი ხსენებულ დაწესებულებათ მიეცა გზების გასაკეთებლად, მდინარეების ნაპირებია გასამაგრებლად, ელექტორების ასაგებად, დამბების და ხიდების გასაკეთებლად. ხოლო იმ სესხისა, რომელიც გაცემულ იქნა სხვადასხვა სენთან საბრძოლველად, ევატიოს ყველა ნილომიკები; 11. ევატიოს და ანგარიშებიდან გამოირიცხოს ჯარიმა, რომელიც შეგროვდა მემკვიდრის დაბადების დღემდე (პოდუხოვნი) მამულების პატრონებზე პოლონეთის გუბერნიებში; ეს ჯარიმა ნაანგარიშეა იმათზე, რომელთაც დროზე არ გადაიხდეს ნასყიდობის ვალის სავადა გადასახადი.

XII. არ გამოერთვათ კერძო პირთა და საზოგადოებებს ის ფული, რომელიც კარგის ჯიშის ცხენების მოშენებელმა სახელმწიფო გამგეობამ ამით გადასცა 1903 წლამდე დიდებსა და გამოფენებზე ცხენების პატრონთა დასაჯილდოებლად ფულით ან შედლებითა და ნივთებით, მაგრამ ამ კერძო პირთა და საზოგადოებებს-კი ფულის დახარჯვის გასამართლებელი საბუთები არ წარუდგენიათ.

XIII. ევატიით და ანგარიშებიდან გამოირიცხოს, ქვემო აღნიშნულ წესებისამებრ, ჯერედ გადაუხდელი როგორც სახაზინო, ისე დედოფლის მირიამის დაწესებულებათა მიერ მეტად დახარჯული, ზარალად ჩათვლილი და დაკარგული ან მეტად გაცემული ფული, რომელიც შესდგა უწყსარივად გაცემულ ჯამაგირისა, სადგომის ფულისა, გზის ხარჯისაგან და სხვ.: 1. უყურადღებოდ იქნას ატოვებული ის საქმეები ამ მეტად გაცემულ, ზარალად ჩათვლილ და დაკარგულ ფულის შესახებ, რომელიც მემკვიდრის დაბადების დღემდე არ განხილულა, ან არ დაწყებულა, თუ ამ ფულის ჯამი, ყოველ ცალკე შემთხვევაში, 600 მან. არ აღემატება. 2. ევატიით ავრთვე ის მეტად დახარჯული, ზარალად ჩათვლილი, დაკარგული და მეტად გაცემული ფული, რომლის შესახებ საქმეები მემკვიდრის დაბადების დღემდე უკვე განხილულ იქნა და რომლის გადახდის შესახებ განკარგულება გაცემული, თუ ეს ფული არ აღემატება 600 მანეთის ყოველ ცალკე შემთხვევაში. 3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტში აღნიშნული ფული თუ 600 მან. აღემატება, მაშინ უნდა გამოაკლდეს საპატივებელ ფულს 600 მან. 4. სრულიად გამოირიცხოს ანგარიშებიდან ის

ფული, რომელიც სათანადო მთავრობის დაუკითხავად დაარსებულ წესების დარღვევით ჯილდოდა და შემწეობად გაუკითხ სხვადასხვა სახაზინო დაწესებულებათ. 5. თუ ზარალად ჩათვლილი და დაკარგული ფული, მემკვიდრის დაბადების დღემდე, გამოწვეულია სამსახურის დროს უწყსო მოქმედებით და თუ დამნაშავეს ამ ფულს ორწილად ახდევინებენ, გადახდეს მარტო დაკარგული ან ზარალად ჩათვლილი თანხა. 6. ის საგრებელი, რომელიც ხაზინისა ან დედოფლის მირიამის დაწესებულებათა ინტერესების დარღვევის გამო უნდა გადახდეს სხვადასხვა პირთ და დაწესებულებათ, ევატიით, რომელიც უნდა იყოს და გადახდეთ მხოლოდ თანხი ვალი. 7. ევატიით ყველა ის მეტად დახარჯული და დაკარგული ფული, რომლის გადახდა დაეკისრა, მემკვიდრის დაბადების დღემდე, გარდაცვლულ და მამაშავე მოხელეთა მემკვიდრეებს, ან ქვრივსა და ობლებს. 8. ევატიით სრულიად ფული იმ პირთ, რომელთაც ხაზინა ახდევინებს მეტად დახარჯულს, ზარალად ჩათვლილს ან გადაყოლებულს ფულს იმიტომ, რომ პირდაპირი დამნაშავენი ან მათი მემკვიდრეები ვერ აღმოუჩენიათ ან არა და აღმოუჩენიათ, მაგრამ სიღარიბის გამო იმთ გადახდა ვერ მოუხერხებიათ. 9. ნულარ მოეთხოვებათ მეტად დახარჯული, დაკარგული ან გადაყოლებული ფული იმ მოხელეთ, რომელთაც ხაზინისათვის ასეთი საზარალი საქმე ჩაიდინეს მემკვიდრის დაბადებამდე ათის წლის წინ. 10. ევატიით და ანგარიშებიდან გამოირიცხოს ყველა ის ჯარიმა, რომელიც მოხელეთ დაეკისრა, მაგრამ მემკვიდრის დაბადებამდე არ გადახდენია საღერბო წესების დარღვევის გამო; გადახდეს მხოლოდ თვით საღერბო გადასახადი. 11. გამოირიცხოს ანგარიშებიდან ყველა ის ფული, რომელიც სახაზინო რკინის გზების მსახურებზე ირიცხება, როგორც გადაყოლებული ან ტარიფის ურიგად მოხმარების გამო დაკარგული. 12. ევატიით და გამოირიცხოს ანგარიშებიდან მეტად გაცემული ფული, რომელიც ირიცხება იმპერიის შორეულს ადგილებში მოხელეებად გამწესებულ პირებზე იმიტომ რომ იქ სამსახური დანიშნულ დრომდე მიატოვეს. 13. ევატიით და ანგარიშებიდან გამოირიცხოს შემდეგი სხვადასხვა ჯარიმა, მოხელე პირებზე ნაანგარიშევი მემკვიდრის დაბადების დღემდე: ა) ფული რომელიც ვალად აწვეს ოქროს სადნობ-სა-

ხაზინა ლაბორატორიების მოხელეთ 1903 წლის 6 იანვრის კანონის XIX მუხლის ძალით. ბ) ჯარიმა, რომელიც მოხელეებს დაეკისრა სადამოყნო ტარიფის უწყსოდ გამოყენების გამო, გ) ყველა ის ჯარიმა, რომელიც დაეკისრა სპირტის გაშვებულ სახაზინო და კეთილ ქარხნებს დანიშნულზე მეტი სპირტის დახარჯვისათვის; დამნაშავეთ მხოლოდ უნდა უზღონ ხაზინას ზარალი. დ) ყველა ის ჯარიმა, რომელიც დაედო მაგარ სასმელების სახაზინო საწყობის მოხელეთ მეტის სპირტისა, ლეონისა, ქურჭლისა და სხვა მ.სალის დახარჯვისათვის; 14. ეპატოთ და ანგარიშიდან გამოირიცხოს ყველა ის ჯარიმა, რომელიც დაედო მოხელეებს ხაზინისა ლ დედოფლის მარამის უწყებისათვის არა საზარალო საქმეების გამო; აგრეთვე ის ჯარიმა, რომელიც უნდა გადახდეს მოხელეთ სამსახურში უწყსო მოქმედებისათვის შემკვიდრის დაბადებამდე; 15. ამ მე-XIII მუხლში მოხსენებული პუნქტები არ შეეხება: ა) იმ თანხებს, რომლებიც არ ეკუთვნიან ხაზინას, თუმცა მთავრობის განკარგულებაში კი არიან და სპეციალური დანიშნულება აქვთ. ბ) საქველმოქმედო და სპეციალურ თანხებს, აგრეთვე თანხებს, რომელნიც დედოფლის მარამის უწყების განკარგულებაში არიან, მაგრამ მას არ ეკუთვნიან (ბე, აღსაზრდელთა პენსიები, მოჯარადრეთა გირაო და სხვ.); გ) სახაზინო და მთავრობის დაწესებულებათა ქონების მომპარაგთ ან გამფლანგავთ, როცა იმათ მიწოდებული ჰქონდათ ქონების დაცვა დროებით ან სამუდამოდ; დ) იმათ, ვინც ხაზინას ან მთავრობის დაწესებულებათ ვანზრახ ანგარებით მიაცენეს ზარალი; და ე) იმ მოქმედებათ, რომელთა შესახებ შემკვიდრის დაბადების დღემდე ანგარიში არ იყო წარდგენილი; 16. ეპატოთ ყველა ზედმეტად დახარჯული ფული 1900 წელს ჩინეთის წინააღმდეგ ექსპედიციის დროს: ჯამაგირისა, სასაიდლოსი, სამგზავროსი, დიურისა და სხვ., რომელიც მასში დაეკისრა აფიცრებსა და ექიმებსა და ჯარის სხვა მოხელეთ. იმ ვალისა, რომელიც დაეკისრა ექსპედიციის დროს ჯარის ზოგიერთ ნაწილებს და რომელიც უნდა გამოირიცხოს იმათ თანხებიდან, თვითეულ ნაწილს ეპატოს 1200 მანეთი. მოისპოს ყველა ის საქმე, რომელიც ხაზინამ აღძრა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხსენებულ ექსპედიციის დროს სახაზინო ქონების უწყსოდ შენახვის გამო ხაზინას ზარალი მიაცენა; მოისპოს მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ დამტკიცდა, რომ ზარალი განზრახ ანგარებით არა გამოწვეული. 17. მოისპოს სახელმწიფო კონტროლის მიერ აღძრული საქმეები ხაზინის ზარალის შესახებ, რომელიც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთი, წესისამებრ შედგენილი, ხარჯები სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის იმ განყოფილებაში არ ჩაირიცხა, რომელშიაც უნდა ჩაირიცხულიყო; მაგრამ მოისპოს იმ შემთხვევაში, თუ არ აღმოჩნდა, რომ ეს ზარალი განზრახ ანგარებით არა გამოწვეული. 18. ამ მე-XIII მუხლის შემო-აღნიშნული პუნქტები შეეხება იმ პირთაც, რომელნიც სახელმწიფო დაწესებულებებში მსახურებენ, მაგრამ სახელმწიფო სამსახურში არ ირიცხებიან; აგრეთვე კერძო ექიმებს, ბეითლებსა და სტუდენტებს, რომელნიც დროებით იყენენ გაგზავნილნი სხვა-და-სხვა ადგილას აღმიაინისა და პირუტყვის სენთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

XIV. სახელმწიფო ხაზინას დაეკისროს ყველა ხარჯი, რომელიც დასჭირდება იაპონიასთან ომში მოკლულ აფიცრეთა და ჯარის-კაჯათა ობლების აღსაზრდელად და შესანახად.

XV. სახელმწიფო ხაზინიდან პენსია დაენიშნოთ იმ ექიმების ოჯახებს, რომელნიც საზოგადო სამსახურში ყოფნის დროს მონაწილეობას იღებდნენ სხვა და-სხვა გადამდებ სენთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სენი შეეყარათ ლ სიცოცხლე შესწირეს სახელმწიფოს.

XVI. განთავისუფლებულ ოქნან პასუხის გებინსაგან ის სამხედრო პირნი, რომელნიც დაქობწინებულან სამხედრო კანონებში აღნიშნულ წესების შეუსრულებლად.

XVII. უფლება ახდის პირთა კანონიერ შევილებს, თუ ეს შევილები უფლების ახდის შემდეგ განდენენ, ამ მანთესტის ძალით, ენაბებთ სრული უფლებანი, თუ-კი მამას შემკვიდრის დაბადების დღემდე დაუბრუნდა ჩამორთმეული უფლებანი.

XVIII. აღდგენილ ოქნანს უფლება სალენტიკი-ციო ბილეთის მიღებისა იმათთვის, რომელნიც ამ უფლებას მოკლებულნი არიან, თუ ათის წლის განმავლობაში შემკვიდრის დაბადებამდე არ დასჯილან სადამოყნო წესების დადგენილებათა დარღვევის გამო.


XIX. ვისაც შემკვიდრე ცესარევიის დაბადების დღემდე დანაშაულობა ჩაუდგენია, ებოძოს შექმდევი წყალობა ლ შედავათი: 1) ეპატოს სასჯელი ყველას,

ვისაც ესეთი დანაშაულობა ჩაუდენია, რომლისთვისაც კანონით, როგორც უმაღლესი სასჯელი, გადაწყვეტილია ჩაგონება, შეჩვივა, საყვარელი, ჯარიმა სამას მანეთამდე, დაპატიმრება, საპყრობილესა ან ციხეში ჩასმა, ისევე, რომ არ ჩამოერთვის ზოგიერთი განსაკუთრებული უფლება ან უპირატესობა და სამსახური არ იქნას დასჯილი. სასჯელთა დებულების (კანონთა კრებული, ტომი მე-XV, გამოც. 1885 წ.) მე-65 მუხლის მე-2-9 პუნქტის თანახმად; ეპატოს სასჯელი ყველას, ვისაც დანაშაულობა ჩაუდენია იმით, რომ ტყე აუწვია და დაურღვევია შემდეგ უწყებათა ტყეების წესები: სახემდეწიფოსსა სატყეო და სამთო უწყებებისა, საამგფოსი, სამგფო სახლის კარისა და საფულისწულოსი; დაურღვევია დადგენილებანი ლოჯიის სამთავროს და ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების ტყეთა შესახებ; დაურღვევია წესები ტყეების დაცვის შესახებ (კანონთა კრ. მე-XV ტომი, სასჯელთა დებულების მუხლები მე-57^ა, 67^ა, 57^ბ, 57^გ, 1802 წ. გაგრ. და 1897 წელს 7 აპრილს უმაღლესად დემტკიცებული აზრი სახელმწიფო საბუკოსი, ეპატოს იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ ასეთ დანაშაულს ჯარიმად უნდა დაედოს სამას მანეთზე მეტი; განთავისუფლებულ უნდა იქნან სასამართლოსა და სასჯელისაგან, აგრეთვე სასჯელთა დებულების მე-158^ა მუხლში აღნიშნულ ზარალის ასანაზღაურებელ ორკეც ჯარიმისაგან (ეს ორკეცი ჯარიმა ედება თავის ნებით ტყის აწებისა, წახდენისა ან კანონის წინააღმდეგე-ტყის საქონლის დამზადებისათვის) ყველა ზემოდ ჩამოთვლილი დანაშაუენი, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენის ტახტის მემკვიდრის დაბადების დღემდე არ აღძრულა ზაჩივარი სისხლის სამართლის წესით, ან სასამართლოს განაჩენი არ გამოცხადებულა, ან განაჩენი სისრულეში არ მოყვანილა, ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილს სასჯელს ჯერ კიდევ იხდიან ამ გვარი დანაშაუენი. 2) ეპატოს ყველა იმას დანაშაული, ვისაც სამსახურის დროს ჩაბარებული ქონება, არა უმეტეს ათას მანეთისა, მიუთვისებია და დაუსაკუთრებია და ამ გვარ დანაშაულობისთვის სასჯელს იხდის, თუ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე მითვისებული და გაფლანგული ქონება საყვებით დაუბრუნებია. 3) განთავისუფლებულ იქნას პასუხის ვებისა და სასჯელისაგან ის, ვისაც ისეთი დანაშაულობა ჩაუდენია, რომელიც სასჯელთა დე-

ბულების მე-193, 194, 1941 და 1575 მუხლშია აღნიშნული (კანონთა კრ. ტომი მე-XV, გამოცემა 1885 წლისა, 1902 წლის ვარ.). 4) სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ სასჯელის ვედა ოცი მესამედით შემუშვებულ იმას, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე იმაზე უფრო დიდი დანაშაულობა ჩაუდენია, რომელიც ამ მე-XIX მუხლის პირველ პუნქტშია აღნიშნული და რომლისთვისაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს დაპატიმრება, საპყრობილესა ან ციხეში ჩასმა, უფლებათა ან ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებისა და უპირატესობის ჩამოერთმეველა; შემუშვებულს სასჯელის ვედა იმასაც, ვისაც უკვე გადაწყვეტილი აქვს ეს სასჯელი და იხდის კიდევ. 5) იმ თანამდებობის კაცს, რომელსა სამემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე სასამართლოს განაჩენით (ან უფროსების განკარგულებით) სასჯელთა დებულების მე-65 მუხლის 2-9 პუნქტებში აღნიშნული (კანონთა კრებული, ტომი მე-XV, გამ. 1885 წლის) სასჯელი გადახდა, არ ჩაეთვალოს ეს სასჯელი დაბრკალებად სამსახურში წინ წაწევისა, პენსიებისა და ჯილდოების მიღების საქმეში; ასეთ მოხელეს არ შეეძლება მიიღოს მხოლოდ ის ნიშნები, რომელიც უმწიკვლო სამსახურისთვის ეძლევათ მოხელეებს, და ორდენი წმ. ვლადიმირისა. 6) ის თანამდებობის კაცი, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე სამსახურთან გამორიცხულ იქნა (კანონთა კრებ. მე-XV ტომი, სასჯელთა დებულების მე-65 მუხლი, პუნქტი 1-ლი, გამ. 1885 წ.) ისეთ დანაშაულობისთვის; რომელსაც სარჩულად ანგარება ან სხვა პირადი ანგარიში არ ედო, ჩაითვალოს თანამდებობიდან გადაყენებულად, ხოლო ასეთსავე დანაშაულობისთვის სამსახურიდან გამოსარიცხი მოხელე—თანამდებობიდან გადაყენებულ იქნას. 7. ის თანამდებობის კაცი, რომელსაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ამა მე-XIX მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული დანაშაულობანი ჩაუდენია და ამისთვის გადაწყვეტილი ჰქონია დროებით ციხეში ჩასმა ზოგიერთ უფლებისა და უპირატესობის ჩამოერთმევეთ (კანონთა კრებული ტომი მე-XV, სასჯელთა დებულების მე-50 მუხ., გამოც. 1885 წლისა), იმ შეღავათის გარდა, რომელიც ამავე მე-XV მუხლის მე-13 პუნქტშია აღნიშნული (დაპატიმრების ვადის ერთი მესამედით შემსუბუქება), ჩაითვალოს იქნას სამსახურიდან გამორიცხულის ნაცვლად თანამდებობიდან გადაყენებულად.

(შემდეგი იქნება)

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილან სული თვის დასლვის ცხოვართთვის. იოან. 10—11.
შავე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სისხარული ცოა შინა, ერთისათვის ცოდვილის. ლუკ. 15—4.
შავედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 17

1883—1904

15 სექტემბერი


ს ი ბ შ ვ ა .

თქმული გელათის მონასტრის წირვის შემდეგ, 8 სექტემბერს 1904 წ.

სახელათს მამისათ, და ძისათ, და სულას წმიდისათ.

წარმოვიდგინოთ, ძმანო ქრისტიანნო, რომ ამ წუთს მოვშორდით დედამიწას და რომელიმე საშუალების ძალით ავედით ჰაერის სიერცეში ისეთ სიმილდებზე, საიდანაც თვალს ვაწვდენთ მივლს სა-ქრისტიანოს. რა სურათი გადაგვშლება და რას დავინახავთ? აუარებელს, მილიონობით მოზღვავე-ბულს, სადღესასწაულოდ გამოწყობილ ერს, რომელიც სასიამოვნო გულის ცემით მიეშურება ეკლესიებისაკენ; უთვალავ ტაძრებს, რომელთა შიგნით და ვარეთ მლოცველნი ერთითა პირითა და ერთითა გულითა უვალობენ, ადიდებენ, თაყვანსა სცემენ და ევედრებიან ყ-ღ წმიდა მღვთის მშობელს, მარა-

ღის ქალწულს მარიამს, მაცხოვრისა ჩენისა იესო ქრისტეს ლუნეტარეს დედას და თან დიდი და პატარა, ძლიდასა და ც-ხაკი დანიკოთრებითი გულის მოდგინებით და სიხარულით მიართმევენ სას-ღაო და შესაწირავდ პატიოსანი შრომით მოპოებული ქონებიდან გადანარჩომ წვლილს. ერს უხარია, ერი აღფრთოვანებულია, ერი დღესასწაულობს წმ. ქალწულის მარიამის დაბადების დღეს. შეკრებილ მლოცველებს ვერ დაუტევიათ გულში საღმრთო სიხარული იმ ბედნიერების გათვალისწინების გამო, რომ დღეს შეეძინა ქვეყნიერობას მშობელი ცისა და ქვეყნის მეუფისა, დედა ქრისტესი, რომელმაც ჩენი გულისათვის ხორცი შეისხა, სიკვდილი დაითმინა, სისხლი დაინთხა და მით გაგებანა ცოდვათგან, განაქარვა სიმძლავრე ეშმაკისა, სიკვდილი დასტრგუნა, გვაშორა წყევა და წყრომა ღვთისა, მოგვიბოვა ქალ-



ნიერება ღვთის შვილობისა და დაგვაყენა საუკუნო ცხოვრების უტოლომელ ვზახე. ყველა ბედნიერებას გრძნობს, ყველას ღვთის მადლით ავსებთა გული, ყველას ჰსწყურია ძმის გახარება და იმის გამო, თვით ბედნიერი, სიხარულით ეყრება გამკლავდ-გამოგვივლეს, გულთი ულოცავს დიდ ღღესასწაულს და ძმურად, ქრისტიანული გრძნობით ეკონება მას გულ-მკერდში. სწორეთ რომ დიდებული სურათია, მართლა რომ უტხო სანახაია ყველა ეს!

იყო სანეტარო დრო, როდესაც ამგვარივე სარწმუნოებრივი სიმბუროვლე უღვივოდა გულში ქართველ ერს, ამ გვარივე აღფრთოვანებით ეგებებოდა იგი საღმრთო ღღესასწაულებს, ასევე ბედნიერად გრძნობდა თავის თავს ეკლესიის წმ. კათლის ქვეშ, ასეთივე ზეციური მადლით აღესილი წაშლად და მტლედ ეღებოდა თავის მოძმეს, თავის მეზობელს, თავის მახლობელს და შორეულს, საუცხოვოდ ხატავდა და ჰქარავდა ისედაც მოხდენილ სამშობლოს პირს გასაოცარი და ძვირფასი ტაძრებით. აჰა, უბირველესი ძველი, — ეს დიდებული ეკლესია, — ჩვენი მამა-პაპის სარწმუნოებრივი სიმძლავრისა, აჰა, ტაძარი ესე, უტყუარი საბუთი ჩვენი ძველების ზნეობითი ერთობისა — სიყვარულისა, აჰა, ტაძარი, ხმა მადლად მღღაღღებელი მისა, თუ როგორ აფხსებდნენ ქართველები იმ გვარ ღღეებს, როგორიც არის ღღევანდელი ღღე.

მაგრამ, ვი რომ ღღეს ყველაფერი ეს მოისპო, გაქრა და დაიკარგა! გადავიდა ძველი თაობა და მან თითქოს საფლავში ჩაიყოლიაო ყოველივე სიკეთე. აღარაფერი, სრულდებოდა აღარაფერი და სრულდებოდა აღარაფერი, აღარც სხეულით და აღარც სულით აღარაფერივართ მათ, აღარც გონება გვაქვს მათი და აღარც გული. გნებათ ამისი საბუთი? მიმოიხედეთ თქვენს გარშემო, მიაქციეთ ყურადღება ამ წმ. ტაძრის ღღევანდელ მღგომარეობას და, უეჭველია, ცხადი შეიქნება თქვენთვის ჩვენი სარწმუნოებრივი არაობა, ზნეობრივი დაძაბუნება, გონების დაწლუნება და სულიერი გათახსირება. ოღესმე დიდებული, ოღესმე მდიდრულად შემკულ-მორთული, ოღესმე ყველაფერში უნაკლებოდ მოწყობილი ეს ჩინებული ტაძარი, ღღეს, ღღოთა ვითარების გამო, მოლად დაძველებულა, სრულიად დაფხავებულია, ღღემისა თავზე დაგვაწვეს და ჩვენ კი სრულდებითაც არ გვადონებს და არ გვაფიქრებს მისი

ასეთი გულსაკლავი მღგომარეობა, აზრათაც არ მოგვლის მისი განახლება-აღღგენაზე ზრუნვა და თავის გამოღება. მაგრამ რას ვამბობ მე საბარლო და უბადრუცი! ვიღამ უნდა აღვიღგინოს ეს ძვირფასი სალოცავი, როდესაც ესეთი შვილები წამოგვეზარდნენ რომ ეკალიეთ ესობათ მათ თვლში და გულში ამ საღმრთო სიძველის სურათი, რალა საფიქრებელია მის გამშვენებაზე ზრუნვა, როდესაც ბევრს გულდამშვიდებითაც ვერ წარმოუთქვამს მისი სახელი, ზოგს თავისი ცხოვრებისა და მოქმედების საგნად დაუსახავს მოსპობა, შეურაცხება და შეგინება როგორც ამ მამა-პაპათა სისხლის ოღღით აწენებული ძველისა, ისე საზოგად ჩვენი სარწმუნოებისა.

რა დავარქვათ, რა უწოდოთ სახელად იმას, რაც აქ ჩაიდნებათ ამ თვე ნახევრის წინეთ ჩვენივე სისხლისა და ხორცის ჩამომავალი, ჩვენივე ქვეყნის შვილებმა, ჩვენმა მეზობლებმა, ჩვენსაიეთ მონათლულეებმა და იეოსო ქრისტეს სისხლისა და ხორცის, უეჭველია, არა ერთხელ მიმღებლებმა? ქურდობა? არა, ქურდს თუ ღვთისა აღარ ეშინიან, კაცისა ყოველ შემთხვევაში ერთდება და ამის გამო იგი მოქმედობს ღღემ, სიბნელეში ან ისეთ გარემოებაში, რომ უტხო თვალი ვერ ხედავდეს მას და მორიდდება ხომ შერეული ნიშანი მინცაა გონების. აფხაკობას? არა, ნამღვიღმა აფხაკმა იცის სააფხაკო საქმისა და საგნის გამორჩევა; იშვიათად გავგონილა, რომ აფხაკს ცხმაროს თავისი ხმალი სიბერისაგან ძალ გამოლეულ და სამარეში ფეხმდგომ მოხუცებულზე. აქ ჩაიდნელი შემადრწუნებელი ბოროტება არის საქციელი ცოფმორეული მტაცებელი მხეცისა; ამ საქციელს ოღნავადაც არ გტყობა ნიშნ-წყალი კაცის გონებისა და გულისა. იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ცხრა თვლი მზე არ გამოსხივებოდა ღღეს, როდესაც მინდორი და სოფლის მიღამო სასეე იყო მშრომელი ხალხით, ხოლო ამ ტაძარში ჩვეულობისამებრ სრულდებოდა საღამოს ღღეცა „შვილობისათვის ყოვლისა სოფლისა,“ უცუად გაისმა რალაცა ველური ხმაურობა, ეკლესიაში შემოიქრნენ თოფ-იარაღით აღტურვილი კაცები, მიბაჯინეს ხანჯლის წვერები უმწეო, უღღონო, ნახევრალა ცოცხალს, ოთხმოცდა-ათი წლის დამქვენარებულ ბერების მკერდს და ასეთი უნამუსო ძალმომრეობით გაიტაცეს ეკლესიის საღაროდან ბეჭედი წმ. დავით აღმაშენებლისა, ოქროს ბარძიმი, მღღელთმთავრის

მანავია და ძვირფასი თვლებით მოჭედლილი სამღვდელთმთავრო სარტყელი. ამ გვარად აღარა გვაქვს ის ნივთი, რომელიც ხელში სჭერია და უხმარია დიდებულ მეფეს დავით აღმაშენებელს, აღარა გვაქვს ის ძვირფასი ნაშთები, რომლებიც იზიდავდნენ მლოცველებისა და ჩვენი წარსული ცხოვრების მკვლევართა ყურადღებას, მოგვტაცეს ის, რაც ნათელსა ჰფენდა ჩვენს ისტორიას, შურააცხვეცს ის, რასაც მართო განცოფებული და ჭკუა დაკარგული გაიმეტებს საშურააცხოდ! ვი ჩვენს მოსწრებას, ვი ჩვენს სირცხვილს და თავის მოჭრას! დღევანდლამდე შობა ყ-დ წმიდა ღვთისმშობლისა, მდაბიოდ—გელათობა, —გვაუწყებდა სიხარულს, დღეიდან კი ამ დღემ უნდა გავგახსენოს ხოლმე გელათის გამარცხვა ქართველი კაცის ხელით... ოჰ, სამძიოა, აღარ შემძლია სიტყვის გაგრძელება—ტრემლები მახრჩობს და გულს ცეცხლი მედება. შევიგნოთ, შევიგნოთ, საყვარლო მსმენელო, დღევანდელი ჩვენი დიდად საშიში მღვთმარყობა, დავებზოვთ ნასესხს, სამარცხვინო, ყოველ ჭეშმარიტებას და სიმართლას მოკლებულ მიმართულებას, ბეჯითად დავადგეთ ისევ მამათა ჩვენთა სარწმუნოების კვალს, თუ არ გვსურს ჩვენივე საკუთარი ხელით უკლის გამოჭრა და სიცოხლის მოსპობა. ამინ.

ქანკაბოხსი ლეონიდი.

იმიერეთის მაჰარაჰის სამღვდლოების დეპუტატთა კარბა ზ. ჟუთაისში 15-22 დეკემბერს 1903 წ.

(დასასრული*).

დიდი ლაპარაკი გამოიწვია კრებაზე თფილისი-დამ ქუთაისში მირონის მოტანის 50 მანეთის დახარჯვამ. სხვათა შორის თავმჯდომარისაგან სიტყვის ნება ითხოვა დეკ დ. დამაშვიტმ, რომელმანც განაცხადა: «საზოგადოებაში მირონზე ესეთი აზრია შედღებული: ყოველიფერ ნივთს თავისი ფასი აქვს დავდებელი, მაგრამ ერთადერთი მირონია, რომელსაც არასოდეს ფასი არ დადებია და უსასყიდლოდ ეძლევა ყველასო. მართალია წმიდა მირონი არსად არ იყიდება, მაგრამ მისმა მოტანის ჭირის

გადახდამ კი სწორედ საქმე გააჭირვა. მოგვხსენებთ რომ თითქმის ყოველ წელს იგზავნება მოსკოვში თითო სასულიერო პირი მირონის მოსატანად. შემდეგ მას გასწერენ ყოველ ეკლესიაზედ დანახარჯ „პროგონის“ ფულს და კაპეიკობით აგროგებენ და იხდიან. მოსკოვიდან მირონის მოსატანი გზის ხარჯის ფულების გროვება დაიწყეს იქნება აგერ ათი თუთხმეტი წელიწადი. წინეთაც, რასაკვირველია, მირონის მოსატანი ფული ალბად იხარჯებოდა, მაგრამ კანცელარიის დანარჩენი ფულით ან სხვა წყაროებიდან იხარჯებოდა საზოგადო თანხიდან, ამ ბოლო დროს კი ეკლესიებიდან დაიწყეს კრება ამ ფულებისა. ამ უკანასკნელ ხანებში თფილისიდან ქუთაისში მირონის მოსატანი ფულების ხარჯის აღებაც დაიწყეს. წარსული წლის მირონის მოსატანი ფულები იკრიბებოდა ეკლესიებიდან ათი კაპეიკი. მოსკოვიდან თფილისში მოსატანი ფულები კი 21 კაპეიკი ხან ცოტა მეტი ითხოვებოდა ხოლმე. საქართველოს სექსარხოსოში 1800 ეკლესიამდე არის. 1800×21=378 მან.

იმ დროს, როცა რკინის გზები არ არსებობდა და არც გზა ტრეკოლები იყო და ცოტა არ იყოს საშიშიც იყო ამ სიზოტრეზედ სიარული, რასაკვირველია, ორასი და სამასი მანეთი მაინც და მაინც დიდი არა იყო-რა. მაგრამ დღეს, როცა სიარული ასე გაადვილებულია (საკმაოა მოსკოვამდის აქეთ და იქით მიმოსლისათვის მეორე კლასით ორმოცდაათი მანეთი და ორ კვირაში ხარჯათ ორმოცდაათი მანეთიც, რიღასთვის უნდა იხარჯებოდეს კიდევ მეტი, მერმედ ისიც მირონის მოსატანად? ნუ თუ ისე დაცალიერდა სხვა და-სხვა დაწესებულებათა შესავლის წყაროები, რომ სხვა საშუალებით ვერ გარღიხადოს კაცმა მირონის მოსატანი და 21 კაპეიკობით არ იბოჭებოდეს ეკლესიებიდან? ადვილი შესაძლებელია ეს, მაგრამ არავინ უტარდლებას არ აქცევს ამას. სხვაგან შემოდებულ ანგარიშებს თავი დავანებოთ, მაგრამ თფილისიდან ქუთაისამდე რაღაცა ნახევარი ფუტის წმიდა მირონის მოსატანად 50 მანეთის ხარჯი სწორედ შეუფერებელია. ეს ხარჯი სწორეთ პირველია ჩვენში ღ სასირცხოთაც მიმანწია ჩვენი სამღვდლოებისათვის. ნუ თუ ასე დავმდაბლდით და დავკენიდით, რომ თფილისში, ასე ხშირად სიარულის დროს, მირონის მოტანისთვის ფულები

*) იხ. „მწვეთსი“ № 11—12 1903 წ.

ვითხოვოთ? დიად, ჩენი ქალაქების ზოგიერთ მამებს კარგად ახასიათებს ეს გარემოება. ვაცხადებ კრების წინაშე, რომ ვიდრემდის ვიცოცხლებთ ჩვენ ვკისრულობთ წმინდა მირონის მოტანას თფილისიდან ქუთაისში ჩენის ხარჯით, ოღონდ ეკლესიები კი გაანთავისუფლონ და საზოგადოებაში მოისპოს ის ცუდი ხმა, რომ „ღღეს მირონსაც კი ყიდიაო“.

კრებამ დეკ. დ. ლამბაშიძის განცხადებაზე ითხოვა ჟურნალის დადგენა.

თავმჯდომარე მ. ს. მჭედლაძე. მამანო დეპუტატონო! მე არა ვარ თანახმა მ. ლამბაშიძის განცხადებისა. მირონის მოტანის საქმე კარგად უნდა იყოს დაყენებული. დეკ. ლამბაშიძე რომ აღარ იყოს, მაშინ ვილა მოიტანს ტყუვილად მირონს. ჩვენ ესლავე უნდა გადავსწავით მირონის მოტანისათვის ფულების გარდახდა და დაუსახელოთ წყაროები. თუ დეკ. ლამბაშიძე ზიდავს პირობა დასდევს და ითხოვოს ქალაქადიო, თორემ ლიტონი სიტყვა არ მიიღება.

დეკ. ჯ. ღამბაშიძე. მე საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ მირონს მოვიტან ხოლმე როცა გვიბრძანებენ ღ ამისთვის მე არაფერს არ ვითხოვ. მამა მქედლიძეს რაღაცა საეჭვოთ მიაჩნია ჩენი სიტყვა და მასთან დასძინა: «ლამბაშიძე რომ აღარ იქნეს მის შემდეგ ვილა მოიტანს ტყუვილად მირონსო... ჩვენ ჩვენს სიცოცხლეში პატიოსან სიტყვას ესდებთ მუქთად მოვიტანათ ხოლმე წმინდა მირონი, ჩვენ შემდეგ, არა მჯერა, რომ იმერეთის ეპარქიაში, თუ ქ-ის არა, სოფლის სამღვდლოებაში მაინც არავინ აღმოჩნდეს ისეთი მღვდელი, რომ უფულოდ არ ითავოს წმიდა მირონის მოტანა თფილისიდან ქუთაისამდე. მე საკმაოდ მიმანია გამოთქმული აზრი ჟურნალში დაწერილი და კრებაც ასე უნდა ფიქრობდეს ვკონებ. მამა მქედლიძე ითხოვს ჩემგან რაც ესთქვით უთუოდ დავსწეროთ და კრებას წარუდგინოთ? ესეც ადვილი საქმეა...

კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა დეკ. დ. ლამბაშიძეს და დაადგინა, რომ მირონის მოტანისთვის არავითარი ხარჯი არ იქნეს დადებული.

კრებისაგან დადგენილი ჟურნალები უმეტესი ნაწილი დამტკიცებულია სასულიერო მთავრობისაგან, მხოლოდ ჟურნალები ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პარალელური განყოფილებათა დახურვა არ იწება მთავრობამ და ხელახლა მიეცა

წინადადება სამღვდლოების კრებას იქონიონ მსჯელობა ამ განყოფილებათა დატოვებაზე. არ დამტკიცდა აგრეთვე ჟურნალები კრების იმის შესახებ, რომ ეკლესიებიდან შესაკრები ფულები სასწავლებლის შესანახავად ჯამაგირიდან არ ერიცხებოდეს სამღვდლოებას და თფილისის სემინარიაში მიღებულ იქნენ იმერეთის სამღვდლოების შეილები. ამ სამღვდლოების კრებაზე, იყო სხვა საგანგებულ ბაზის, მაგრამ მაგდნათ შესანიშნავი არ არიან და ჩვენც ვსწყვეტთ მათზე წერას. ამ წლის სამღვდლოების დეპუტატების კრებაზე შემდეგ მოგახსენებთ.

დამსწრე.

სოფლის სამღვდლოება

**ღ
მისი ასავალ-დასავალი.**

„ზოგი კბირ მარტებელია“.

III.

(გაკრძელება*)

დასასრულ შეგებოთ უფრო საგრძნობელ, საეღალალო მხარეს სოფლის სამღვდლოებისას—ზნებრივ მხარეს. ეს კითხვა განიყოფება ორ ნაწილად: 1) რა შრომა აქეთ მღვდლებს მოვალეობად და 2) როგორია ეს შრომა. ხშირად გვსმენია სამღვდლოების უსაქმურობა—უქმობა; ეს უქმობა იმდენად მეტია, რამდენად მცირეა სამრევლო. განვიხილოთ, რამდენათ მართალია ეს გაგრცელებული აზრი სამღვდლოებაზედ. შედარებით სხვა სამსახურთან სამღვდლოება უფრო მეტი თავისუფალი დროთა სარგებლობს, მაგრამ იმდენად კი არა, როგორც ეს არის გაზვიადებული ზოგიერთთაგან. მაგ., ორშაბათს, სამშაბათს სხვა სამსახურის პირი, როდესაც მას ფცხარებული მეცადინობა აქვს, მღვდელი თავისუფლად დადის და ეს აკვირვებს მას, აცდენს და იმას ვერ შეიგნებს, რომ როდესაც ის მთლად მოსვენებულია სამსახურისაგან, მაშინ მღვდელი შრომაშია. საჭიროა ბევრით ჩაკვირება და არა ზერულე მოსა-

*) ახ. „მწიგნობა“ № 15, 1904 წ.



ზრებით ხელმძღვანელობა. ესლანდელ დროში სამღვდლოებს აქვს შესაფერი შრომა და ეს შრომა იმდენათ მეტია ჭ თითქმის განუწყვეტელი, რამდენათ სამღვდლო პირი უფრო განათლებულია, აღჭურვილია, როგორც პროფესიონალური, ისე სხვა, კერძო, სოფელში გამოსაყენებელი განათლებით, როგორიცაა ექიმობა და აგრონომია. (რასაკვირველია ელემენტალური, ჩვენში მეტ არ არის). ამგვარი ცოდნით აღჭურვილი სამღვდლოება, იმედია, უფრო გამრავლდება სოფლად.*) სადაც მღვდელს კი დაუმსახურებია სამრევლოს ყურადღება, იქ გაჭირვებაში და დაღიწინებაში პირველი მჩრეველი და საქმის გამომწყოები მღვდელია, მხოლოდ ამ ბოლო დროს კი ეს სიმპატიური მხარე სოფელთა მღვდლისადმი შეარყია ბოროტმა პირებმა. ჩვენს დროში იშვიათად მოიძებნება ისეთი სოფელი, სადაც ერთ-კლასიანი ან ორ-კლასიანი სასოფლო სკოლა არ არსებობდეს. (ეგ სულ ერთია, სამრევლოა იგი თუ სამინისტრო); უმჯობელია იქ მღვდელს გაკეთილი აქვს და დავალებულია ყოველ დღე იაროს და იმეცადინოს ბავშვებთან. სამრევლო სკოლებში გამგეთაც ითვლება სამრევლოს მღვდელი და უფრო მეტი შრომაც მართებს. პირ-იქით, პირდაპირ მოვალეობათ უდგანენ სოფლის სამღვდლოებს სამრევლო სკოლებზედ ზრუნვას, მათი კეთილ ნიადაგზედ დაყენვას, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხსაც კი აგებინებენ სკოლის უფარგისობისათვის. პარასკეიდგან კვირამდის საეკლესიო ღვთის მახურების აღსრულებას უნდებ; დაუმატოთ ამაზედ დღესასწაულები, მარხვები და ხალხის ზიარება, როდესაც სამღვდლოებს ზედ-მეტე ჯაფა აქვთ—გამოვა რომ არც ისე ვასაზივადებელია მღვდლის უსაქმურობა, როგორც ბევრის სალამარკად აქვს!.. მართალია, არის ისეთი პატარა სამრევლოები (ქვემო იმერეთში ხშირად) სადაც უფრო მეტი თავისუფლება აქვს

სამღვდლოებს, მაგრამ რა უყოთ, კარგია რომ ასეთი პატარა სამრევლოები არ იქნებოდეს განცალკევებულად, არამედ შეუერთდებოდნენ სხვა სამრევლოს. ამ გვარ თავისუფლებას ხშირად ცუდი შედეგი მოყვება ხოლმე; მღვდელი რომელსაც საქმე არ აქვს, რალაც იმისთანა საქმეებში ერთვება, რაც მისი თანამდებობის შესაფერი არ არის, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენც კაცნი ვართ, შეიღნი სოფლისა“, დროთი შეიცვლება ისიც და გაუმჯობესდება ეს ცუდი მხარეც სამღვდლოებისა.

შეიძლება, ვინმე მკითხველთაგანმა გვიპასუხოს: კი, მართალია, სამღვდლოებს შრომა აქვს, მაგრამ მათი შრომა რა სასარგებლოა საზოგადოებისათვის? ამაზედ მოვახსენებ: თუ კი იგი განათლებული კაცია, უნდა იცოდეს, რომ ყოველ შრომას სასყიდელი უნდა და არც იმისი უვიცი უნდა იყოს თუ სარწმუნოებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის. პრინციპიალურად რო განვსაჯოთ ერთი და იგივე შრომა ორნაირად დაფასდება: შეიძლება იცნოთ იგი უპატიოსნოთ, მუქთა ხორაობათ და შეიძლება მიიღოთ ძალიან პატიოსნად, ადამიანის ღირსების შესაფერისათ. ავიღოთ მეეტლე. მეეტლე და მისი ეტლი საქირო არის საქმისათვის ე. ი. უნდა წაიყენოს ავადმყოფი, მგზავრი, ან საქმეზედ მიმავალი ადამიანი. ერთი სიტყვით, ისეთი პირი, რომელიც შრომობს და ამ შრომასაგან სარგებლობა ეძლევა საზოგადოებას. თუ მხოლოდ ასე ექცევა, ამგვარ შრომას ახმარს მეეტლე თავის ეტლს და ცხენს, მაშინ იგი პატიოსანი ადამიანია. მაგრამ, როდესაც ჩაუჯდება მას ერთი უსაქმო ვინმე, ტყუილია დროების გასატარებლად (მაგ. ჩვენი კავალრები ანუ მოქიფე მძაბიკები) მთელი დღე ახეტიალებენ, მეეტლეს და ცხენებს აწვალებენ; აყურყურებენ გარეთ სიცივეში და ბოლოს ცხენებსაც დასჩენენ და ეტლსაც, მაშინ-კი მეეტლის შრომა უპატიოსნოა—არ უნდა ჩაეჯდინა ისინი და არ წაიყვანა, რადგან უსაქმო კაცები იყენენ; იმათ, არამც თუ სარგებლობა, პირ-იქით, დიდი ვნება მოაქვთ საზოგადოებისათვის. მაგრამ აქ რა შუაშია მეეტლე? განა მან ფული უბრალოთ მიიღო? არ დადგარა მან ოფლი? არ გამოიარა წვალება? მაშ მას ჯილდოც, სასყიდელი ეკუთვნის და ეს სასყიდელი ამაზედ ყოველად კანონიერია. სწორეთ ასეა სარწმუნოება და სამღვდლოება. სამღვდლოება მათთვის არის საქირო,

*) ორივე ეს დარგი მეცნიერებისა ფრიად საქირთა სოფლის სამღვდლოებისათვის, როგორც სოფლის ინტელიგენტისათვის. თუმცა ელემენტალური ცოდნას აძლევენ მოსწავლეებს სემინარიებში (ექიმობისას), მაგრამ ეს იმდენათ მცირეა, რომ ღიღს დამაბრებს ვერ გაუწევს გაჭირვებაში. სამწუხარო ის არის ამასთან, რომ მთავრობა რალც შიშით უყურებს, ვინც მოიწადინებს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს მედიცინას, თითქო ეჭვობს: მტრეთ ის მღვდელი საიშედო აღარ იქნება, ინგლისში კი მღვდლები მშვენიერი ექიმებიც არიან.

ვისაც სარწმუნოება აქვს. ამაზედ გთხოვთ გაიხსენოთ ერთი ადგილი გორკის ნაწერისაგან („На дне“). ერთი მომქმედი პირი ჰკითხავს მეორეს: „ღმერთი არის?“ — ის უპასუხებს: „ვისაც სწამს ამისთვის კი“. — ამიტომ სამღვდელთაობის სამსახურს მნიშვნელობა და ფასი აქვს მორწმუნე ადამიანისათვის და არა ურწმუნოსათვის. აქედგან აშკარად სჩანს: ვისაც სარწმუნოება აქვს, მისთვის ეს ქვეყანა ისეთია, იმგვარად მოწყობილი და იმ სახით მბრუნავი და წარმავალი, როგორც ასწავლის ეკკლესია — ი, მათთვისაა საქორთა ჩვენი სამსახური. შეიძლება იმას ჰვიჭრობდეს ზოგიერთი — სარწმუნოება საქორთა მხოლოდ უბრალო, გაუნათლებელ პირთათვის; ვითომ სწავლა-განათლება ადამიანის გონებაში და გულში აღგიღოს არ ტოვებს ღვთისათვის და სარწმუნოებისათვის, მაგრამ ამაშიდ სრულიად ვერ დავეთანხმებით. ამისთვის ავიღოთ მაგალითად გოგოლი, ეს უფრო ცნობილი ჰყავს ჩვენს თაობას. ვოგოლი არ იყო განათლებული? არ იყო ნიჭის პატრონი? არ ტრიადლებდა განათლებულ წრეში? არ ყოლია მას კეთილი და მგვობრები ურწმუნონი? მაგრამ შეაფერხა რამე მისი სარწმუნოება? ან ექვი მიანიც თუ დებდა? ახლა ამ აზრის ილლიუსტრაციის დასამთავრებლად გაიხსენოთ — ანტონ კათალიკოსი, ეპ. გაბრიელი, პლ. იოსელანი, გრ. ორბელიანი, წმ. მამები და მსოფლიო მცნეიერნი და ფილოსოფოსნი, რომელნიც სიტყვით და საქმით ამტკიცებდენ ღვთის არსებობას. შეიძლება სთქვათ: არიან ისეთნი მცნეიერნიც რომელნიც ამტკიცებენ ამის წინააღმდეგსა. რა უყოთ მერმე? ეს სრულიად არ ამართლებს ურწმუნო ადამიანებს, ეს გარემოება სულ სხვა რამეს გვასწავლის. კაცობრიობის განვითარების, (კულტურის) ისტორია აშკარად გვასწავლის, რომ ადამიანს ბუნებრივად თან დაყოლილი აქვს განუთავისებელი მიდრეკილება ღვთისადმი და ამ მიდრეკილებას ვერ შესცვლის განათლება, არამედ უფრო განამტკიცებს. აბა, გაიხსენეთ სარწმუნოების სიმტკიცე და შეგნებულობა განათლებულ ევროპიელთა (გერმანელთა, ინგლისელთა, იტალიელთა ზღ სხვათა) ზე შეადარეთ მას გაუნათლებელ ხალხთა სარწმუნოების უფროსობა: რომლის რწმენა უფრო სასიამოვნოა, სასახელო და კეთილი: განათლებულისა თუ გაუნათლებელის? აშკარაა, რომ განათლება უფრო ამტკიცებს, ამაგრებს, აღამაღლებს, თავის

ჯეროვან სიმაღლეზედ აყენებს სარწმუნოებას. მაშასადამე ჩვენც, როგორც მთელი კაცობრიობა, ჩვენს სარწმუნოებას უნდა ვმსახურებდეთ — აქ გასაკვირვებელი არა არის რა და მით უმეტეს არა არის რა დევნისა და სიძულილის ღირსი. ზოგიერთსაც იმიტომ არაფრათ ეპიტანავებთ სარწმუნოება და მათი დასი, რომ ისინი გატაცებულნი არიან პოლიტიკური ვითარებით და რომ სამღვდელთაობა ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს.

განა სამღვდელთაობამ უფრო იმიტომ უნდა მიიღოს აქტიური მოქმედება პოლიტიკურ საქმეებში, რომ იგი მღვდელია, თუ ისე როგორც ყველა ადამიანმა. — შე ვფიქრობ, როგორც მღვდელი იგი სარწმუნოების მოციქულია ზე არა პოლიტიკური რომელიმე წეს-წყობილების დამცველი. ამ შემთხვევაში ტყუილა გვისაყვედურებს ბ. მსიტყვა. „ძველს დროში კი იყვნენ მოწამებელი და ეხლა რა არის, რომ ხმასაც არავინ იღებსო“. მოწამებელი არიან პოლიტიკურ ვითარებისათვისაც, როგორც სარწმუნოებისათვის. როგორ მოწამებობს ითხოვს სამღვდელთაობისაგან ნეტავი ბ. მსიტყვა. — ქვემარტი ქრისტიანი შეიძლება ცხოვრებდეს, რესპუბლიკაშიაც და კონსტიტუციონალურ სახელმწიფოშიაც; უსამართლობა-კი ყოველგვარ სახელმწიფოში იქნება მეტნაკლებობით, — ისიც სათქმელია, ბევრს თხოულობთ სამღვდელთაობისაგან, მაგრამ იმას კი არ ჰკითხულობთ, როგორი უფლებებით არის აღჭურვილი იგი ამ საქმისათვის: ილოცე, სწირე, აზიარე და ხალხს ასწავლე, რაც შეადგენს ღვთის მსახურებას; სხვა შენი საქმე არ არის და ნურც ეხები მასაო... უფლებაც არ გვაქვს შევეჩხოთ იმას, რასაც ბევრნი თხოულობენ ჩვენგან, არამც თუ ჩვენს თავზე მივიღოთ იგი. — რომელსა ასხენ ყურნი სასმენად, ისმინენ...

მდ. ნ. ბ.

(დასასრულია იქნება).

ძველ-მეგობარს.

რუსულიდან.

ვიკონებ წარსულ ცხოვრების ხსენს
და მსურს შენდაში შე საუბარი,
რომ მოგაკონო შეგობრულ ძმური—
ჩვეულ-თავისუფალ დაუვიწყარი!

* *

ხომ გახსოვს—ზოგადს და სთავისცო-
საურთიერთის რას უწოდებდით? [მის—
ერთის ტკივილი მრავალს ვეტივიფადა
და მრავლის გარამს თათოდ ვგოდებდით!..

* *

ერთ ჭრმინით ხმა ხმას თანხმობდა,
გრძნობაც ერთსავე მიიწრაფოდა,—
სასწორ-სიამართლის დაცვის მსურველნი
უნდა უგრძნობელს ბრბოსს აფრთხობდა.
და სთავისცომო სვალადებულა
საქმის შეგება ვის არ აძობდა?!

* *

დღეს ხომ უმეტეს სახინო ფანრით
გზას გვიანათებენ ბუერი ზირები,—
გულის სიწრფელით, დავაფლეთა ძველით,
ერთად სწავლითად აღჭურვილები.

* *

მაგრამა დახეთ! შათს ნაშრომ ნაღვაწს
უკუღმა ცარავს უმეტართ გროვა,
და სთავყვანდა მათ გუხნდით
საზიარადო—*ემეა* და ეს ის ბრბოსა,
რომელიც მუდამ იმას ღამის
და აზრათა აქვს მართლის განთქვა,
რომ წმიდა კვალი ბურუსში ჩაფლავს—
აღარ უსხივოს ბრწყინვალე ელვას!..

* *

ამ დროს გვიკონებ ჩემო ძმობალო,
გიცი რომ ეს ხმა შენც გავამთვანებს,
და სათანადო ნიშნით უკავიობ
ამ უმადურთა—ნათელის მაყნებს!..

* *

ჩვენ კი—ვინც ჭივინოს ბადავი შირად,
გზას გვიხივობ-ბრწყინვით მანათობელი—
იმათს სხეტავს აზრს ვიცავდეთ მარად,
მათი შევიქმნეთ ჩვეულ-მგროხობებში!..

თ. როსტომ—გუდა ჩიქოვანი.

ნეტარებაშია არ იმყოფება
ვინც არის სხვეზე გონებით სრული;
ას არა! იგი ვეგალაზე უფრო
არის მშემუნვარე, სვედით მცოდელი.

—

არამედ ის არს მხოლოდ ნეტარი
და ცხოვრებაშია ბედნიერია,—
ვინც რომ ბუნებით არის რეგენია,—
მის კი ჭკონია შენეირია..

—

მის შეერება ამოდ სკუმეელი,
მის ტბილი ძივლი ადარ უფრთხება,
არც რამ სულის აღმშოთითი ვნებით
მის დრო და ჟამი არ უმწარდება;

—

ვით ღამის ბნელს მუდრეობაში
მოჩვენებას თანასწორ ქმნილი, —
ეგრეთ ჭკუვანც უგუნურთათვის
უნაკლებულა და სრულ-ყოფილი.

თ. როსტომ—გუდა ჩიქოვანი.

მშრნალ-გაჯითიბიდან.

ომის სურათი.

(ვას. ნემიროვიჩი-დანჩენკოს დღოურიდან „რუსსკ სლოვოში“)

მოწინავე რაზმებთან ვიყავ და ეს არის ეხლა
დავბრუნდი, დაღალული, დაწყვეტილი, და—მრცხე-
ნიან. მარჯვნივ და მარცხნივ ჯარის კაცები მომ-
დევდნენ, რომელიცა მტერი უფლგება აქეთ შესვენე-
ბისა. ცხრა დღე მოსვენება არ იცოინ, მაგრამ
დალაღვას ვინა სჩივის! აი ნაწყოლ-ნათრევი ფეხებს
ძლივს მიათრევენ, ჩერდებიან და უღონოდ შემოგ-
ვტკერიან. ვაგონში, რომელიც სასადილო ოთახს
წარმოადგენს, საღდათის *«შისი»* მოკვრეს თვლი.

—რა გინდა, ჩემო მტრელო?

—ცოტა ბური.

ვაძლევ ფულს.

უარობენ.



უმორჩილესად გმადლობთ. ცოტა პური...
ორი დღეა არა გვიჭამია-რა.

დაურეგოთ, რაც კი მოგვეპოვებოდა. ჩვენმა
საღვთებმა აგრეთვე. ერთს საათში ნამცეცი აღარ-
სად იყო. ხალხი კი მოდიოდა და სულ პურსა
თხოვლობდა, მხოლოდ პურს. ისეთ ადგილებში
ყოფილიყენენ, სადაც არავითარ ბარგის გაგზავნა
არ შეიძლებოდა. ფულს არავინ, სრულიად არავინ
იღებს. საბრალო და ქანცა-წყვეტილები მხოლოდ
პურს გვეყვებოდნენ.

მეორე დღეს გზირი მოდის.
— თქვენო მად—აჲ, ცოტა პური გვიწყალობეთ.
— აჲ, მიირთვი.

— ცოტაც, — გაუბედავად იხვეწება.
— კმარა.
— მე-კი მეყოფა, მაგრამ აგერ კაპიტანსაც უნ-
და, — მიწვენებს მოშორებით ზურგ მობრუნებულ
აფიცერს.

— სახოვე, მობრძანდეს.
— აქ არ მოვა.
— რატომ?
— თხოვნა ეთაკილება.

მისცეს პური და მოხარული ხორცი.
ის 'მორიდან მადლობას გვითვლის სახე გაბრ-
წყინვებული.

ცოტა ხანს შემდეგ გენერალ მიშენკოს აფი-
ცერი მოდის შორიდან.

— თუ ღმერთი გწამთ, გენერლისთვის მომეცით
რამე საჭმელი, — მშიერია.

ჩვენები აძლევენ რაც კი აბაღიათ: ნახევარი
ზოთლი არაყი, პური, ხორცი, რაღაც კონსერვები.
ის გახარებულია. ხელები-კი უკანკალებს,
სახე აუწითლდა.

— ოჰ, გმადლობთ, რა სასიამოვნოა. სწორედ
დღესასწაული იქნება. ეს ერთი თვეა, ამისთანა არა
გვინახავს-რა.

და კმუკავს ცხენზედ მცირე ხანს არ შეუსვენ-
ნია, მაშინვე გზას გაუდგა.

ერთი უკან ჩამორჩენილი აფიცერი ჩვენთან
შემოიკვიანეს.

მოპატივებს სადილზე — რაც გავაჩნია.
ის მადლობას იხდის:

— მე კიდევ დამაიწყდა, როგორ უნდა ვკამო.
— მაშ რითი ცოცხლობთ?
— ჩაით...

ავად არის... ცახცახებს... ჩიის დაეწაფა. ახლ-
გახდა, ღამაშის სახისა, ისეთი კბილები აქვს, რომ
ძვალსაც-კი დაჰკენეტს.

მეორე აფიცერი ისეთის სიხარბით მივარდა
„სასაღდათო საგემებელს“, რომ კინაღამ ცრემლები
გადმოჰყარე.

— უჰ, ამისთანა საუსტოვო რამ, დიდი ხანია
აღარ გვიხილია!..

გინახავთ როდისმე, რომ ბაყაყ-ქვემძრომებით
აზღვრულ და ამაყებულ წუმებს წყალსა სვამდენ?
აქ მობრძანდით და იხილეთ. ნახავთ აგრედვე დაო-
ბებულ და აშშორებულ პურს ხავს რომ მოაღლიან
გაფრთხილებით, ნამცეცი არ გაჰყვესო, და გემრი-
ელად მიირთმევენ; როგორც შექცევიან გახრწნილ
ხორცსა ღ ღმერთსაც მადლობას უთვლიან. კონსერვს
მოგიტანენ. თუნაქა გაბერილია. დანას აძგერ, მყრა-
ლი სუნი გეცემა. ცოტას შეიცდიან, სუნი შესუს-
ტდება და მაშინ მიირთმევენ და მოსწონთ კიდევ...
განა გასაკვირველია, რომ ამ გარემოებაში
მშიერ-დაქანცული ჯარის კაცები სულით ეცემოდნენ
და თავზე ერეოდნენ. მოსკოვისა და პეტერბურგის
თბილ კაპიტლებში საღდათი კლდისაგან გამოჩაკვეთ
კერპად წარმოუდგენიათ, რომელსაც ვერა გასტეხს-
რა. ნამდვილად კი ამისთანა აღარ გახლავთ. დღე-
ვანდელი გმირი ხვალ უღონო და უძლიერ კაცად
ხდება რომელსაც ხელის გაწვდენა სჭირდება.

ცოტა ხანს შეასვენეთ საღდათი.
ხვალ ის თვით ეშმაკსაც კი შეებმის და დღეს
კი გაუფრთხილდით, იზრუნეთ იმისთვის.

ამას ამბუბი. „ბერლინერ ტაგელატი“-ის ვენე-
ლი თანამშრომელი სწერს ლიაოიანის ბრძოლაზე:
იაპონელები ძლიერ ეცადნენ, მაგრამ რუსის ჯარის
ლიაოიანთან წრე ვერ შემოავლეს, რადგან ამ საქ-
მისთვის საკმაო ჯარი არა ჰყავდათო. თანამშრომ-
ლის ანგარიშით, იაპონელებს 250 ათასი კაცი ჰყა-
ვდათ ლიაოიანთან, რუსებს 200 ათასი. 250 ათასი
კაცი 200 ათასს წრეს ვერ შემოავლენდა და იარაღს
ვერ დააყრევინებდა, მით უმეტეს, რომ იაპონელე-
ბის არტილერიაც ლიაოიანთან რიცხვით ისე რო-
დილა სჭარბობდა რუსისას, როგორც ვიფანგოუსთან
სჭარბობდაო. თანამშრომელი ჰეიქრობს, რუსებს
ამ ბრძოლის დროს, 11 აგვისტოდან 23-მდე, 32
ათასი კაცი უნდა დაჰკლებოდით — მოკლული და
დაქრილი, ანუ 16% მთელის ჯარისა. პრუსის



ჯარს 1870 წელს სენ პრივსთან უფრო დიდი ზარალი მოუვიდა, სახელობრ 30% (პ. ვ. ვ.).

„რუსეთის ველმოსტი“ს სამხედრო თანამშრომელი სწერს: «სამწუხაროდ, რუსის ოფიციალური დებუებები მეტად მოკლედ იწვევება და მეტად ცოტა ცნობას გვაწვდიან; არც რუსის ჯარის უკან დახევის ამბავი ვიცით, არც სამხედრო მოქმედების ვითარება. ამის გამო მრავალი საშიში და ასაღლეველებელი ხმები ვრცელდება რუსის საზოგადოებაში. ბევრს ეშინან, იქნება რუსის ჯარი რა განსაცდელში იყოს ჩავარდნილიო. გენ. კუროპატკინის დებუებიდან სჩანს, რომ 25 აგვისტოს რუსის ჯარი მდინარე ხუნხეს (მუკდენს ახლო) გაღმა გამდგარა. კერძო დებუებებიდანაც სჩანს, რომ რუსის უმთავრესი ჯარი 25 აგვისტოს მუკდენში მისულა. ცხადია, გენ. კუროპკი ვერ მოსწევია რუსის ჯარს და მდინარე ხუნხეში გასვლა ვერ დაუშლია. ეს ადვილი გასაგებია. 20 აგვისტოს აქეთ მანჯურიაში საშინელი წვიმა მოდიოდა და ყველა გზები, მეტადრე მთებში, სულ წახანდა. რუსის ჯარი ქვეთ მოკირწყლულ გზითა და რკინის გზის პირ-პირ მიდიოდა; დაკრინლები; ბარგისა და არტილერიის ნაწილი რკინის გზით გაისტუმრა. იაპონელები კი გვერდზე მისდევდნენ რუსის ჯარს და უფრო ცუდი გზები ჰქონდათ გასავლელი. რუსის ჯარს მაინც მეტად ჩქარა უვლია. 22 აგვისტოს რუსის არმიის შტაბი ჯერ კიდევ იანტაიში იყო; 23 აგვისტოს საღვურ შახეში ავიდა, 24 მუკდენში, ასე რომ ორ დღეს რუსებმა 42 ვერსი გაიარეს, ე. ი. დღეში 21 ვერსი გაუვლიათ. ყველაზე უკან რუსის კავალერია (120 ესკადრონი), საზღვრის დამცველი რაზმი და გენ. მიშენკოს ქვეითა ჯარი მოდიოდა და იაპონელებს აყენებდა. სულ რუსის უკანა ჯარში 20 ათასი კაცი იქნებოდა.

როგორ დიხზა რუსის ჯარმა, დიდი ზარალი მოუვიდა, თუ არა, ამას მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა გენ. კუროპატკინის დაწერილებით ოფიციალურ მოხსენებას გამოაცხადებენ. „მოსკოვსკია ველმოსტი“-ის კორესპონდენტი იუწყება: ლიოვიანინიდან უკან დახევის დროს რუსებმა მხოლოდ ხელ და ხელ ვადებულნი ხიდები დანაგრევეს და დასწვეს, რკინის გზის ხიდის დანაგრევა კი ვერ მოასწრეს, მხოლოდ ხიდზე დაგებულ ფიცრებს წაუკიდეს ცეცხლიო. იაპონელებმა ხელად ჩააქრეს ცეცხლი; ხიდი შეაკეთეს, წყალ გაღმა გამოვიდნენ და რუსის

ჯარს დაედევნენ. იგივე კორესპონდენტი სწერს: რუსებმა ლიოვიანში 4 პრივიანტის ნალაზია დასწვესო. ასე რომ ლიოვიანშიაც იგივე მოხდარა, რაც ადრე გაიოჟსა, დაშიაოცა და ხაინში მოხდა».

* *

მუნჯურ მეთოდის უკარგისობა. ჟურნალ «Извѣстія по народному образованію»-ს ამა წლის ივლისის ნომერში მოთავსებული სტატია შემდეგის სათაურით: «Очерки изъ истории развитія внородческаго образованія въ Россіи». სტატია მოგვითხრობს ორენბურგის გუბერნიაში მცხოვრებ ყირგიზ-ბაშკირების ურდოთა შორის სწავლა-განათლების გავრცელების ისტორიას:

„როცა მე.—მოგვითხრობს ალექტოროვი (სახალხო სკოლების ინსპექტორად დანიშნული),—ბაშკირთა ურდოში გავემგზავრე, ვიყავ თაყვანისმცემელი ნატურალურის (ბუნებრივის ან რეალურის—ჩვენებურად მუნჯურის) მეთოდისა უცხო ერების სწავლა-განათლების საქმეში, თუცა ვასილ ვლადიმროვი კატარინსკი ჩემს იქ წასვლამდის გადაქრით მიჩაევედა მხებლმძღვანელნა სამისიენრო ანუ განათარგნელი მეთოდით, რომელსაც შემდეგ ყიხანის უცხო ერთთავის დაარსებულ სასტატო სემინარიის დირექტორმა, ბნმა ბობრიკოვმა, სრულიად სამართლიანად ჰუმანიური მეთოდი უწოდა. ნატურალური ანუ ბუნებრივი მეთოდი მაშინ ყველას ენაზე ეკერა. ბევრნი იყვნენ იმით გატაცებულნი. ნატურალური ანუ ბუნებრივი წესი სწავლისა უარპყოფს უცხო ერთა სწავლა-განათლების საქმეში იმათ დედაენას (ბუნებრივ ენას) და ამ მხრივ იგი არც ბუნებრივია და არც ნატურალური. ეს მეთოდი პირველად გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იმის წარმომადგენლებად იქ იყვნენ გენენსი და ბერლიცი, შეერთებულ შტატებიდან გენენსის და ბერლიცის მეთოდი გავრცელდა გერმანიაში. იმაზე დაიწყეს წერა სახელდავგოი ჟურნალებში და ბევრნიც გაიტაცა. დაიწერა მრავალი სახელმძღვანელო: როსმანისა, შმიდტისა, ცაპასის, ბირბაუმისა და სხ. ჩვენში (რუსეთში) ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ჯერ შელტელომა, შემდეგ ფ. ლევიტსკემ (კავკასია) და ს. გრემენიციკმ (თურქესტანის მხარე). მე გულმოდგინედ ვავრცელებდი შელტელოს სახელმძღვანელოს: «Методическое руководство для первоначальнаго обученія русскому языку въ внородическихъ»

ШКОЛАХЪ» და ამის გამო სამის წლის განწყოლობაში ვერ შევძელ სწავლის საქმის ჯეროვანად მოწყობა, მით უფრო რომ მასწავლებლად ინიშნებოდნენ სა-
ოსტატო სემინარიებში კურს დამთავრებულნი, რომელთაც ბაშკირების ენისა სრულებით არა იცო-
დნენ-რა. წერა-კითხვას მაშინ აქ ასწავლიდნენ უში-
ნსკის «Родное Слово»-ს ან ბუნაკოვის, პაულსონის, კორტის და ვოლპერის წიგნებითა შემწევობით. რო-
გორ განცვიფრდებოდა უშინსკი, რო დაენახა, რომ იმის
«Родное Слово» შემოღებულია იმ სკოლებში, სადაც მოწაფეებისათვის რუსული ენა უცხოა! ნამე-
ტან გაქირვებაში იყვნენ ის მასწავლებლები, რომე-
ლთაც არ იცოდნენ ყარგიზელების ენა, სამხლო იყო იმათთვის, მოსწავლეთა ენის არ ცოდნის გამო,
რომლებმაც თავის მხრივ რუსული ენა სკოლებით არ იცოდნენ, მათი სმენისა და ხმათა გამოთქმელ
ორგანოთა შემუშავება ისე, რომ იმათ შესძლებო-
დათ უცხო ენის უცხო ხმათა შეთვისება და გამო-
თქმა. ბუნებრივი მეთოდით ცუდად შევლოდათ. მთელი საქმე
სწავლისა რუსულ სიტყვა-წინადადებთა შექა-
ნიკურ გაზეზირებაზე დადგა. სკოლის ცხოვრებაში მოსწავლენი
ვერ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. იგინი სწავლობდნენ
უხალისოდ, აღზრდას კი სრუ-
ლებით მოკლებულნი იყვნენ. იმათ არ უყვარდათ და ვერ
შეიყვარებდნენ ვერც სკოლას, რომელიც მათთვის უცხო
რამ იყო, და ვერც მასწავლებელს, რომლისთვისაც უცხონი
იყვნენ ეს ბავშვები, რადგან იმას, მოსწავლეების ენის არ
ცოდნის გამო, არ შეეძლოთ იმათ სულში ჩახედვა, იმათი
სიხარულ-მწუხარების გავება. სწავლის სურვილი სრულებით
არ იყო. მაშინ მე ვამახსენდა დარიგება ვასილ ვლადიმიროვიჩისა.
1899 წლის დასაწყისში მიემართე იმას და ვკითხე, როგორ
მომერჩებინა შემდეგში სწავლის საქმე. ბუნებრივი მეთოდი
უფარგისი გამოდგა, ჰუმანიური მეთოდით შედგენილი სა-
ხელმძღვანელოები კი არ მოიპოვებოდა გარდა ერთისა და ისიც
ვლემენტალურ გამამტაკის კურსს წარმოადგენდა. კატარინსკიმ მიჩიხა მეკისრა რუსულ-
ყარგიზულ ანბანის შედგენა, თითონ-კი იქისრა ყარგიზებისათვის
რუსულ ენის პირველ დაწყებით წიგნის შედგენა
(Первоначальный учебник русского языка для киргизов). მას შემდეგ ვასილ ვლადიმიროვიჩი ამ საქმისათვის
განუწყვეტლად მუშაობდა. სწავლა ადვილი და სასიამოვნო
შეიქნა, სკოლამ

სწრაფად დამისახურო ხალხის სიყვარული ლე ყველგან, თურქესტნის მხარეს გარდა, სადაც ჯერ კიდევ მე-
ფობს, საუბედუროდ, ნატურალური მეთოდი სკო-
ლის საქმე თვალსაჩინოდ განვითარდა და განსაცვი-
ფრებელი წარმატება დაეტყო.»

როგორც ჰხედავს მკითხველი, ზემოდ მოყვანილი ბ-ნ
ალექტოროვისა სრულიად უარპყიფეს უცხო ერთა შორის
იმ სწავლა-განათლების სისტემას, რომელიც დღეს ჩვენშია
გამეფებული. მუნჯური მეთოდი კავკასიის სკოლებში
დღეს ხომ ბატონობს და თანაგრძობას ჰპოვლობს იმ პირთა უმთავრესს
ნაწილში, რომელთა ხელშიაც ჩვენი ახალ თაობის აღზრდა-
განვითარების სეგ-ბედია. სკოლებში უცხო ტომის
მასწავლებლების გამწესება ჩვეულებრივი მოვლენაა,
მაგრამ იმ ტომის მასწავლებელნიც რომ დანიშნონ,
რომელსაც მოსწავლენი ეყუთენიან, დიდი გარჩევა არ
იქნება, რადგან მუნჯურ მეთოდის მომხრენი სკოლებში
სამშობლო ენის ხმარებას სრულიად უკრძალავენ.
დრო ჩვენმა პედაგოგებმაც წაშბამონ ბ-ნ ალექტოროვის
მეგობრისა ჩაუკვირდნენ კავკასიის სკოლის მდგომარეობას
და შეეცადონ იმის პირობების შეცვლას, რომ სწავლის
საქმე ჩვენშიაც ადვილ, სასიამოვნო და ნაყოფიერ საქმედ
გახდეს. («ცნ. ფურა»).

*

*

„ბირევეია ველომოსტ“-ის კორესპონდენტი დღემით იუწყება ტელინიდან: იაზონელები ლიაო-
იანის ვაკე ველზეც ისე კარგად იბრძოდნენ, როგორც
მთაში; ადრე ამბობდნენ, იაზონელები შტიკით
ბრძოლას ფრიდებინაო, მაგრამ ლიაოიანთან
ბევრჯერ თვითონაც მიიტანეს შტიკებით იერიში
რუსებზე. ერთის სიტყვით, სულ სხვანაირად მოიქ-
ცნენ, ვიდრე წინად იქცეოდნენ ხოლმე. შესანიშნა-
ვია, რომ იაზონელებმა ლიაოიანთანაც არ უღალატეს
თავიანთ საყვარელ ტაქტიკას: სამხრეთით მდგარი
დემონსტრაციული იერიში მიიტანეს რუსის ჯარის
მოსატყუებლად, ამ დროს ჩრთილოეთისაკენ დიდი
ჯარი ვაგზავნეს და რუსის ჯარს გვერდლან მოუ-
არეს. შესანიშნავია აფრთხევა, რომ ყოველთვის,
როცა გენ. კუროკი გამოილაშქრებს, გენ. ოკუნსა და
გენ. ნოდკეს არმიები სადაც მიიმალბიან ხო-
ლმე, რუსის მარწინავე რაზმებს ჰშორდებიან და
ყველას ისე აჩვენებენ, თითქო სამხრეთისაკენ იხევენ.
რუსის კორესპონდენტებიც მაშინვე დებეშებსა ჰგ-



ზანდილდნენ, იაპონელები სამხრეთისაკენ მიდიანო. იაპონელები ამ მოხერხებულ მანევრებს განგებ ხმარობდნენ, რომ რუსის მწვერავს იმათი ჯარის ამბავი ველარ გაეგოთ; მართლაც რუსები ველარ იგებდნენ, სად რამდენი ჯარი ედგათ იაპონელ სარდლებს და საით აპირებდნენ გალაშქრებას. თითონ იაპონელები-კი რუსის ჯარის ამბავს ყველაფერს როგზე იგებდნენ. ესლაც ყველა მხრიდან ამბავი მოდის, ვითომ იაპონელებმა ლიაოიანისაკენ დაიხიესო. აქედან სჩანს, რომ იაპონელები მდინარე ტაიძიხეს გამაგრებენ, ჯარს შეასვენებენ ლ მერე-კი გენერალი კუროკი უტყვბ სადმე მუკდენის აღმოსავლეთით გაემოჩნდება, გენ. ნოძუ ეოკუ სამხრეთიდან წაბოვლენ. რუსებს ახალი ჯარი მოსდით, მაგრამ ესეც ვერა ჰშველით, რადგან გენ. კუროკი მუდამ ჩრდილოეთისაკენ იწევს და რუსის ჯარს მუდამ გზის მოჭრას ემუქრის. (ბ. ვ.)

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ ტოკიოდან: გენ. კუროკი მუკდენიდან 30 ვერსის მანძილზე დგას, აღმოსავლეთე მხარეს, და პირდაპირ ტელინისაკენ მიდისო. ოკუს არმია მუკდენის დასავლეთით დგას, გენ. ნოძუს არმია სამხრეთის; იაპონელების მოწონევე ჯარი მუკდენის გზაზე სილიხნსა და საილიძეს შუა დგას. იაპონელები მნიშვნელოვან სტრატეგიულ მოქმედებისათვის ემზადებიანო. (ბ. ვ.)

«კენიგ. ცაიტუნგ»-ი იუწყება: მუკდენის დასავლეთით იაპონელებს 40 ათასი ჯარის კაცი უდგათო.!

„ნ. ფრ. პრესე“-ს სამხედრო მიმოხილველი სწერს: მუკდენში იქნება უფრო მეტი სამხედრო და საკვები სურსათი ჰქონდეთ დამზადებული რუსებს, ვიდრე ლიაოიანში ჰქონდათ. მაგრამ რადგან რკინის გზა ლიაოიანის სურსათისა და დაჭრილების ზიდვას უნდებო, შეიძლება რომ მუკდენიდან სურსათის წალებო ველარ მოასწორონ. ტელინის გამაგრებასაც კარგო ხანი დასჭირდება. აქედანა სჩანს, რომ გენ. კუროპატკინი მდინარე ხუნხუნზე მუკდენის სამხრეთით ძლიერ რაზმს დასტოვებს და იაპონის ჯარს შეაყენებს. კერძო ცნობებიდანაც სჩანს, რომ იქნება ბრძოლა მუკდენსა და შეხეს შუა მოხდეს სადმე, მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით. (ბ. ვ.)

ბამილა დათაიანის. რუსის ჯარის ზარალზე ჯერ ოფიციალური ცნობო არაო გამოცხადებული. ეს ზარალი ჯერაც არაო გამოკვლეული. უტხოეთის

გაზეთები წინად სწერდნენ, ლიაოიანთან რუსებს 32 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრესო; ესლო ზოგიერთი გაზეთი, მუკდენიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ამტკიცებს, რუსების ზარალი ლიაოიანთან 50 ათას კაცამდე აღისო. (ბ. ვ.)

«გერლინერ ლოკალ ანკვიგერ»-ის კორესპონდენტი სწერს: ლიაოიანთან ბრძოლის დროს იაპონელების მთავარ-სარდალი ოიამა და იმისი შტაბის უფროსი, გამოჩენილი სტრატეგი გენ. კოდამა გენ. ოკუს არმიის ახლო იდგნენ. გენ. კუროკისა და ნოძუს ტელეგრაფით ელაპარაკებოდნენ, გენ. ოკუსთან კი შიკრიკებსა ჰგზავნიდნენ რუსებს მეტად მგაბრი პოზიციები ეჭირათ, შუშანპოსა და ვესენის გორები ხომ თითქმის მიუფლო სიმაგრეებად ითვლებოდა. მაგრამ გენ. ოკუს ქვეითო ჯარის მედგარ იერიშს ვერავინ გაუძლებდა. ოკუს ჯარი ახალ წესზე მიდიოდა იერიშით. დივიზიები პატარ-პატარო ჯგუფებად იყოფოდა, თითო ჯგუფში 15 კაცი დგებოდა ერთად, თოფის დაუცლელად წინ მიბობდა ლ მიწაზე წვებოდა; ამით სხვა ჯგუფები მისდევდნენ ლ როცო რუსებს სათოფედ უახლოვდებოდნენ, წვებოდნენ, თოფის სროლას იწყებდნენ, შემდეგ ისევე ზებე დგებოდნენ და სირბილით რუსებზე იერიში მიჰქონდათ. იერიშის დროს ბევრი აფიკერი და უნტერ-აფიკერი მოუკლეს იაპონელებს, მაგრამ ჯარის-კაცები მიანც მედგარდ მიდიოდნენ წინ. ყოველმა უბრალლო ჯარის-კაცმა წინადვე კარგად იცოდა, როგორ მოქცეულიყო და რა გაერიგებინა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * უმაღლესის ბრძანებით, უწმ. სინოდმა განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ რუსეთზე მოვლენილ ამ მძიმე განსაცდელის დროს კვირა-უქმე დღეებში ყველგან საერთო ლოცვა და პარაკლისები გამართონ, რათა ღმერთმა მიანიჭოს გამარჯვება რუსის ჯარს შორეულ-აღმოსავლეთში.

* * * ფოსტო ტელეგრაფის უწყებას აზრადო აქვს გახსნას ტფილისში აწარსებულ ფოსტო-ტელეგრაფის კანტორის გარდა სამი კიდევ სხვა კანტორა: ერთი — მიხეილის ქუჩაზე, მეორე — დიღუბეში და მესამე ავღაბაში.

